მე სრულიად არ ვსაჭიროებ იმას, რომ თანაზიარი დამიყენონ. ვინც რაიმე საქმეს შეასრულებს და თანაზიარს დამიდგენს მასში, მე მივატოვებ მასაც და მის მრავალღმერთიანობასაც

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოგვცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «თქვა ყოვლადკეთილმა და უზენაესმა ალლაჰმა: "მე სრულიად არ ვსაჭიროებ იმას, რომ თანაზიარი დამიყენონ. ვინც რაიმე საქმეს შეასრულებს და თანაზიარს დამიდგენს მასში, მე მივატოვებ მასაც და მის მრავალღმერთიანობასაც».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ყოვლადკეთილმა და უზენაესმა ალლაჰმა თქვა: რომ ის აბსოლუტურად არ საჭიროებს იმას, ვისაც თანაზიარად მიიჩნევენ, რადგან ალლაჰი ყველაზე მდიდარია. თუ ადამიანი ასრულებს თაყვანისცემის ქმედებას და მას ალლაჰის გარდა სხვასაც უძღვნის, ალლაჰი მას მიატოვებს და არ მიიღებს მისგან ამ ქმედებას და მასვე დაუბრუნებს. ამიტომ აუცილებელია, რომ ყველა ქმედება დიდებული ალლაჰისთვის იყოს გულწრფელი და წმინდა, რადგან ალლაჰი მხოლოდ იმ საქმეებს იღებს, რომლებიც შესრულებულია გულწრფელად და მხოლოდ მისი წმინდა სახისთვის.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3342